რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ბრძოლა

პარასკევი, 24 ნოემბერი 1917 წ.

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола“. კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები—რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола“. გაზეთი ღირს წლის ბოლომდე 4 მ., 1 თვით 2 მ. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 42 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. საოლქო და ტფილისის კომიტეტების ორგანო. № 42

# ზავზე მოლაპარაკება უკვე დაიწყო

## გაუმარჯოს ზავს. გაუმარჯოს რევოლიუციას.

## გაუმარჯოს საბჭოების რევოლიუციონურ მთავრობას.

მუშებო, სალდათებო, გლეხებო, მედგრათ დაუჭირეთ მხარი მუშების და გლეხების მთავრობას!

## საიდუმლო ხელშეკრულობის გამოქვეყნება

ოსმალეთის ურთიერთშორის დაყოფა.

გარეშე საქმეთა სამინისტროს საიდუმლო არქივიდან. 21 თებერვალს 1917 წ.

ლონდონში და პეტროგრადში 1916 წელს გამართულ მოლაპარაკებას შედეგათ ის მოყვა, რომ მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობანი: დიდი ბრიტანიისა, საფრანგეთისა და რუსეთისა შემდეგ დასკვნამდე მივიდენ შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა განისაზღვროს ზოლი მათი გავლენისა ტერიტორიალურათ აზიის ოსმალეთში და რა პირობით უნდა შედგეს არაბეთში დამოუკიდებელი სახელმწიფო არაბთა, ან კონფედერაცია ასეთი სახელმწიფოებისა.

მათ შორის საერთოთ შემდეგ ნაირი მორიგება მოხდა.

რუსეთი მიიღებს შემდეგ ოლქებს: ერზერუმისას, ტრაპიზონისას, ვანისას და ბითლისისას და აგრეთვე ქურთისტანის სამხრეთ ნაწილს შემდეგ ხაზის საზღვრით: მუშ-სერტ-იბნ-ომარ-ამალია—სპარსეთის საზღვარი. ამ ტერიტორიაზე რუსეთის მომავალი შენაძენის ბოლო პუნქტათ უნდა ჩაითვალოს ტრაპიზონის დასავლეთით მდებარე ადგილები შავი ზღვის პირათ, რომლის საზღვრები შემდეგში იქნება აღნუსხული.

საფრანგეთი მიიღებს სირიის ნაწილს ზღვის ნაპირათ, ადანის ვილაიეტს და ტერიტორიას შემდეგ საზღვრებში: სამხრეთით აინტაბ-მარდინის ხაზით რუსეთის საფლობელოს მომავალ საზღვრებამდე, ჩრდილოეთით—ხაზით ალა-დაგ—კესარია—აკ-დაგ—ილდიზ დაგ-ზარა—ეგინ—ხარპუტი.

დიდი ბრიტანია მიიღებს მესოპოტამიის სამხრეთ ნაწილს ბაღდადითურთ და სირიაში გამოითხოვს ნავთსადგურებს კაიფუს და აკკუს.

საფრანგეთსა და ინგლისს შორის მომხდარ შეთანხმებისამებრ ამ სახელმწიფოების გავლენის ქვეშ მყოფ ოლქებ შუა მდებარე ზოლს შეადგენს არაბთა სახელმწიფოების კონფედერაცია ანუ არაბთა დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც სამივე მოკავშირე სახელმწიფოს გავლენის ქვეშ დარჩება და მათი გავლენის ზოლებიც ერთ და იმავე დროს განსაზღვრული იქნება.

ალექსანდრეტტა თავისუფალ ნავთსადგურათ გამოცხადდება. მოკავშირე სახელმწიფოების სარწმუნოებრივ ინტერესების უზრუნველსაყოფათ პალესტინა, მისი მიდამო წმინდა ადგილებითურთ გამოყოფილი იქნება ოსმალეთის ტერიტორიიდან და განსაკუთრებულ რეჟიმს დაექვემდებარება რუსეთსა, საფრანგეთსა და ინგლისთან შეთანხმებით.

როგორც განსაკუთრებული პირობა ურთიერთშორის მორიგებულის სახელმწიფოები ვალდებულათ თვლიან თავიანთ თავს დაიცვან უკვე ომამდე მიღებული კონცესიები და ყველა უპირატესობანი მათ მიერ შეძენილ რაიონებში.

ისინი თანახმა არიან მათი შენაძენის და გვარათ გადაიხადონ ოტომანის სახელმწიფო ვალიდან მათ-მათი ხვედრი ნაწილი. ნამდვილთან სწერია: (ხელს აწერს).

გერმანიასთან შეთანხმების სქემა.

წაუკითხეს ხელმწიფე იმპერატორს 1909 წ 4 მაისს. ნ. ჩარიკოვის.

1. მოისპოს გერმანიის სურვილისამებრ „ლეგენდა“ და გაფანტული იქნას იგი, როგორც ავსტრია-სერბიის შორის ჩამოვარდნილ კონფლიქტის გამო აშკარათ მომწიფებული რუსეთსა და გერმანიას შორის გაუგებრობა, ისე კი, რომ პეტერბურგსა და ვენის კაბინეტებ შორის დამოკიდებულება არ გამწვავდეს.

2. გერმანია ემხრობა 1897 წელს რუსეთსა და ავსტრიას შორის მომხდარ შეთანხმების პირობებს იმ ცვლილებებით, რაც გამოწვეულია უკანასკნელი ამბებით.

3. გერმანია გარანტიას იძლევა, რომ დაცულ იქნება პირობა. რაც ავსტრიას შეეხება, სახელდობრ ის, რომ ავსტრია აღნიშნულ შეთანხმების ძალით ვალდებული ხდება თავი შეიკავოს და ბალკანეთის ნახევარ კუნძულის იმ ადგილების დაპყრობაზე ხელი აიღოს, რომლებმაც მისი სამფლობელოს საზღვარს იქეთ მდებარეობს.

4. ბერლინის ტრაქტატზე ხელმოწერილ სახელმწიფოებისგან დაწესებულ პირობების მოლოდინში, რაიცა მასში მომხდარი ცვლილებები ფორმალურ სანქციას მოითხოვს, გერმანია ენერგიულათ დაუჭერს მხარს რუსეთის დიპლომატიას სრუტეების საკითხის რუსეთისათვის სასურველათ გადაჭრისათვის.

5. გერმანია საჩქაროთ მხარს დაუჭერს მას აგრეთვე დუნაია-ადრიატიკის რკინის გზის გაყვანის საქმეში.

6. სპარსეთში გერმანია ცნობს რუსეთის უფლებებს, რომლებიც 1907 წლის რუსეთ-ინგლისს შორის მომხდარ შეთანხმებიდან გამომდინარეობენ.

საიდუმლო სტატია.

იმ შემთხვევაში, თუ ინგლისი თავს დაესხმის გერმანიას, რუსეთი დაიცავს ნეიტრალიტეტს.

ამ შეთანხმების შესაფერ მუხლებს დაიცავს იტალია, საფრანგეთი და ინგლისი.

---

## პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ომს ბოლო ეღება. რუსეთის მუშების და გლეხების მთავრობამ დაამხო კონტრრევოლიუცია, გასტეხა საბოტაჟი ესერმენშევიკური ინტელიგენციისა, სძლია მსოფლიო იმპერიალიზმს, შეუბრალებლათ დაფხრიწა საიდუმლო ხელშეკრულობები, მისპო საიდუმლო დიპლომატია და ომის საშინელებით განადგურებულ ქვეყანას ამცნო, რომ დაიწყო ახალი ხანა ხალხთა შორის ძმობა-ერთობის დამკვიდრებისა.

ბურჟუაზიაზე გამარჯვებულმა პროლეტარიატმა ბოლო მოუღო სისხლის ღვრას და მოუწოდა ყველა ხალხებს სამართლიანი, დემოკრატიული ზავის დასამყარებლათ. იმპერიალისტურმა ბურჟუაზიამ ქვეყანა სისხლის მორევში ჩაახრჩო, მხოლოთ პროლეტარიატმა შესძლო ამ ხოცვა-ჟლეტის შეჩერება. პროლეტარიატს მოაქვს ზავი, პროლეტარიატს მოაქვს მთელი ქვეყნის განახლება

რაც რვა თვის რევოლიუციის განმავლობაში ვერ შესძლეს წვრილ ბურჟუაზიულმა პარტიებმა,—მენშევიკებმა და ესერებმა, რომლებმაც უღალატეს ხალხს და მხარი დაუჭირეს ბურჟუაზიას ომის წარმოებაში, ეს ორ კვირაში შესძლო პროლეტარიატმა რევოლიუციონურ სოციალდემოკრატიის-ბოლშევიკების მეთაურობით.

ბოლშევიკებმა გაანაღდეს თავისი „ვექსილები“, ისინი აღუთქვამდენ ზავს ისინი ამყარებენ ზავს. ბოლშევიკების სიტყვა მათი გამარჯვების მეორე დღესვე საქმეთ იქცა. მხოლოთ ისინი არ ატყუებენ ხალხს, მხოლოთ ისინი იცავენ ხალხის ინტერესებს, მხოლოთ ისინი არ ურიგდებიან ხალხის აშკარა და ფარულ მტრებს. პროლეტარიატის პარტია, ბოლშევიკები, პროლეტარიატზე ამყარებს მთელ თავის იმედებს, მას მიყვება ღარიბესი გლეხობა და ამ შეკავშირებული ძალის წინ ქედს იხრის გაბატონებულთა გულხვიადი კლასი. ძველი ქვეყანა ადგილს უთმობს ახალს. პროლეტარიატი სპობს გამანადგურებელ ომს და მიუძღვის კაცობრიობას შრომის სამეფოსკენ მის გარშემო იკრიბება ყველა ტვირთ მძიმე და მაშვრალი. ქვეყანას იპყრობს წითელი ინტერნაციონალი. პროლეტარიატის ქუჩაზე დღესასწაული დგება:

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა,
შეერთდით!

---

## მირს საიდუმლო დიპლომატია.

მუშების და გლეხების მთავრობამ მით დასცა პირველი სასიკვდილო ლახვარი ომს, რომ მან საქვეყნოთ დაფხრიწა საიდუმლო ხელ-შეკრულებები, რომლებიც იყო დადებული მეფე ნიკოლოზის და კოალიციური მთავრობის მხრით უცხო ქვეყნების იმპერიალისტებთან, სახალხო კომისარების საბჭომ საქვეყნოთ

განაცხადა, რომ რუსეთის ხალხისთვის სავალდებულო არ არის ეს ხელშეკრულებები და ამიერიდან ის სპობს ყოველგვარ საიდუმლოებას საერთაშორისო ურთიერთობაში. მან მოუწოდა ომში ჩათრეულ ხალხებს ზავზე მოსალაპარაკებლათ იმ პირობით, რომ ეს მოლაპარაკება სწარმოებდეს აშკარათ, საქვეყნოთ, ხალხისაგან დაუფარავათ.

მუშების და გლეხების მთავრობამ მიაღწია თავის მიზანს. ზავზე მოლაპარაკება უკვე დაიწყო. საიდუმლო დიპლომატიას ბოლო მოეღო.

დასავლეთის ფრონტზე დაწყებული სამშვიდობო მოლაპარაკება უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია, რომელიც ახლო მომავალში უქადის კაცობრიობას ომის შეწყვეტას.

ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოთ ვერ ჩაივლიდა კავკასიის ფრონტისთვისაც. და აი აქაც დაიწყო მოლაპარაკება. ოსმალეთის ჯარის მთავარ სარდალმა წინადადება მისცა კავკასიის ჯარის მთავარსარდალს დროებითი ზავის დამყარების შესახებ.

კავკასიის ფრონტს მენშევიკ-ესერები ფლობენ, რომლებიც არ სცნობენ ცენტრალურ მთავრობას, მაგრამ ზავზე მოლაპარაკებას კი აწყობენ.

დიდი რიხით და ზეიმით აცხადებენ ეს უებარი დიპლომატები დროებით ზავს ვამყარებთ ამ ფრონტზეო და მოითხოვენ, რომ მათ გაბედულ „რევოლიუციონურ" ნაბიჯებს მხარი დაუჭიროს დასავლეთის ფრონტმა და მთელი ქვეყნის დემოკრატიამ; სამაგიეროთ ისინი პირდებიან მთელ ქვეყანას ზავს მოვუპოვებთო.

რაც მართალია, მართალია: მენშევიკები მართლა „გაბედული" ხალხია, მათი გაბედულება უტიფრობის ყოველივე საზღვარს სცილდება. აქამდე რუსეთის რევოლიუციას ევლინებოდნენ მხსნელათ, ახლა მსოფლიოს უპირებენ ომის ბრჭყალებიდან ხსნას.

ისინი ბერ ვენ თავის უდღეურ კავკასიის მთავრობას და დამ დიმანდულათ გაიძახიან—აი ჩვენ ზავზე მოლაპარაკებას ვიწყებთ, დაგვეხმარეთ დასავლეთის ფრონტო, დაგვეხმარეთ ევროპის დემოკრატია და ნახავთ, თუ ზავს არ დავამყარებთო.

ამავე დროს მკითხველს უმალვენ, რომ დასავლეთ ფრონტზე უკვე დამყარდა დროებითი ზავი და ოსმალეთის მთავარსარდლის წინადადებაც მხოლოთ დასავლეთის ფრონტზე დამყარებულ ურთიერთობის გამოხმაურებაა.

ჩვენ არ გვაინტერესებს მენშევიკების ავათმყოფური ყოყლოჩინობა. დეე, თავი შეიქციონ, რითაც სურთ. ჩვენ ზავის საკითხი გვაინტერესებს და ამისათვის მოვითხოვთ, რომ კავკასიის ფრონტზედაც იმავე წესით სწარმოებდეს ომის ლიკვიდაცია, როგორც მთელ რუსეთში. ჩვენ მოვითხოვთ ყოველგვარი ცნობების გამოქვეყნებას, რა მხრიდანაც უნდა მოდიოდეს ის. საიდუმლო დიპლომატია მოსპო რუსეთის პროლეტარიატმა და მისი აღდგენის უფლება არა აქვს მენშევიკებს, რითაც უნდა ხელმძღვანელობდენ ისინი.

ჩვენ მოვითხოვთ გამოქვეყნდეს ოსმალეთის ჯარის მთავარ-სარდლის წერილი, რომლითაც მან მიმართა კავკასიის ჯარის მთავარ სარდალს. ჩვენ მოვითხოვთ ყოველგვარი ცნობების დაუყოვნებლივ გამოქვეყნებას. ხალხმა ყველაფერი უნდა იცოდეს, რადგან ხალხი ჩაუდგა სათავეში ომის დაბოლოვების საქმეს, ხალხმა გადალახა დიპლომატიის ხრიკები და თვით სჭედავს თავის ბედს.

სრული სიმართლე, მოლაპარაკება აშკარა და საქვეყნო.

ძირს საიდუმლო დიპლომატია!

# პრესა.

„ერთობის" უმარილო მეპრესე საშინლათ გაუწიწმატებია, იმას, რომ ჩვენ მენშევიკებს დაესწამეთ მუცლით ხოხვა ძლიერთა ამ ქვეყნისა წინაშე. იგი ცდილობს სამაგიერო გადაგვიხადოს,—ჩვენც გვაწყენინოს და ამისათვის მიმართავს.

შევეხოთ მის არსებითად უსუსურ პასუხს. იგი ამბობს, რომ ბალშევიკებმა „ძმათა შორის სისხლის ღვრა გამოიწვიესო". ეს ნამდვილი მეშჩანურ-აბივატელური წუწუნია, ბურჟუაზიული (ე. ი. კონტრ-რევოლიუციონური) არსენალიდან ნასესხები. ალბათ ჩვენი უბადლო ავტორი ფიქრობს, რომ ბრძოლა რევოლიუციონერებს და კონტრ-რევოლიუციონერებს, პროლეტარიატს და ბურჟუაზიას ამ ანტაგონისტურ (მტრულ) კლასებს შორის „ძმათა შორის სისხლის ღვრაა", შეუძლია ასეთი სისულელე მოჩმახოს ადამიანმა, რომელიც ცალ ფეხით მაინც დგას კლასთა ბრძოლის თვალთა-ხედვის ისარზე? რასაკვირველია, არა. შეიძლება ავტორი ფიქრობს, რომ მოქალაქეობრივი ომის დროს მუშა მუშის სისხლს ღვრის? ეს ტყუილია, ვინაიდან დღეს ორი კლასი, ორი ბანაკი ებრძვის ერთმანეთს და თუ ხანდახან ხდება ის, რომ ჩვენი მომრიგებლების-ობორონცების წყალობით კონტრ-რევოლიუციონურ ბანაკში მუშაც, დემოკრატიაც ხოლმე,—მოხვდება, ჩვენ ვუყურებთ ასეთ მუშებს, როგორც შტრეიკბეხერს, რომელიც გადამწყვეტ ბრძოლის დროს მუხ ნათუთით მახვილს სცემს თავის კლასიურ ამხანაგებს ზურგში. ამის გარდა: შეიძლება ჩვენი მახვილი ჭკუის მქონე, ავტორი ფიქრობს, რომ იმპერიალისტურ ომის დროს, როცა სხვადასხვა სახელმწიფოების მილიონი პროლეტარები ბურჟუაზიის ძალდატანებით ჟლეტენ ერთმანეთს. არა აქვს ადგილი „ძმათა შორის სისხლის ღვრას" ჩვენ ვფიქრობთ, რომ ავტორი სწორეთ ასე ფიქრობს, ვინაიდან ის (მასთან ერთათ ყველა ობორონცები) სრულიათ დაშორდენ ინტერნაციონალიზმს და ყირამალა გადაეშვენ სოციალ-იმპერიალისტურ - ნაციონალისტურ წუმპეში.

ავტორი ამბობს: „ბალშევიკების დრომ გაარღვია რევოლიუციონურ დემოკრატიის ფრონტიო". ესეც ტყუილია: ვინაიდან ბალშევიკებმა პირიქით გააერთიანეს, ჩამოაყალიბეს ნამდვილათ, საქმით რევოლიუციონური ფრონტი, გაარღვიეს მხოლოთ ე. წ. „ობორონცული" მხოლოთ სიტყვით რევოლიუციონური დემოკრატია, რომელიც იძულებული გახდება ან ერთ ბანაკს მიემხროს, ან მეორეს. ან რევოლიუციას, ან კონტრ რევოლიუციას, ე. ი. ან ბალშევიკებს, ან ობორონცებს.

ავტორი სწერს: „ბალშევიკებმა დემოკრატიული ორგანიზაციები გარეკა, (?) გაზეთები დახურაო". პირველი მტკნარი სიცრუეა, ვინაიდან სამხ.-რევ. კომიტეტმა გარეკა მხოლოთ კონტრ-რევოლიუციონური დუმა (მოსკოვში), რომელმაც სამკვდრო-სასიცოცხლო ომი აუტეხა ოქტომბრის რევოლიუციის მომხრეებს (გაიხსენეთ მოსკოვის ამბები). მის ადგილზე ხალხი აირჩევს ახალ დუმას, მისი სულისკვეთების ნამდვილ გამომხატველს. რა არის აქ საშინელი და საწუწუნო? არაფერი—ნამდვილ რევოლიუციონერისათვის. „გაზეთები დახურაო"! ეს გაზეთები კრიჭაში უდგენ ახალ რევოლიუციას, ახალ მთავრობას, არ ერიდებოდენ არავითარ საშუალებას, რომ სახელი გაეტეხათ რევოლიუციისათვის. და საერთოთ საუკეთესო იარაღს წარმოადგენდენ კონტრ-რევოლიუციის ხელში. ამას შემდეგ ჩვენი საწყალი ავტორი, ვითომდა სოციალისტი, ვითომდა რევოლიუციონერი, ვითომდა დემოკრატი მხოლოთ წუწუნს ახერხებს!

ჩვენი უბადრუკი ავტორი სწერს: „ბალშევიკების ლიდერები თვით დამფუძნებელი კრების გარეკასაც კი თვლიან შესაძლებლათო". ჯერ ერთი: ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დამფ. კრება რევოლიუციონური იქნება. მეორე: ვინიცობაა, იგი კადეტური, ე. ი. კონტრ-რევოლიუციონური გამოდგა, რომელიც შეეცდება რევოლიუციის განადგურებას, თავის თავათ ცხადია, რომ რევოლიუციონური ხალხი შეეცდება მის გარეკას და ახლის მოწვევას. ეს რეალურ ძალთა განწყობილების საკითხია ახლა ჩვენ ვეკითხებით „ერთობას": მენშევიკები როგორ მოიქცეოდენ ასეთ შემთხვევაში?

„Безумству храбрыхъ поемъ мы славу" ამ დიდებულ სიტყვებს დიდებული პოეტისას (გორკი) საწყალი ავტორი დასცინის. ამით იგი რიხიანათ გვარწმუნებს, რომ პროლეტარიატს არაფერი საერთო არ აქვს დიდებულ რევოლიუციონერის (დანტონის) სიტყვებთან: „გაბედულება, გაბედულება, კიდევ გაბედულებაო". მაშ გაუმარჯოს სილაჩრეს!

До чего мы дожили!

## საბჭოების მთავრობა და ჩვენი მენშევიკები.

რამდენათაც ბალშევიკები იმარჯვებენ რუსეთში, იმდენათ ჩვენი მენშევიკები ბრაზდებიან და წამ და უწუმ იგონებენ საშუალებებს მუშების და გლეხების მთავრობის მიერ გამოცემულ დეკრეტების დასამახინჯებლათ.

როგორც ვიცით, თავი და თავი მიზეზი არსებული სასურსათო კრიზისის არის მსოფლიო საზიზღარი ომი. რომლის გაგრძელებას მენშევიკები მთელი რვა თვის განმავლობაში მხარს უჭერდენ. ამიტომ სახალხო კომისარების ყურადღება აქეთკენ არის მიქცეული, ომის გათავება, რასაკვირველია ნიშნავს სასურსათო კრიზისის შემცირებას.

რა მისცა საბჭოების მთავრობამ რუსეთის მშრომელ ხალხს ამ მხრივ?

მან გამოაქვეყნა ხელშეკრულებები, და დაანახვა მუშებს და გლეხებს ომის გაგრძელების მიზეზები. მენშევიკები კი წინაღდეგი იყო ამ ხელშეკრულების გამოქვეყნების. მან შესწყვიტა ყოველი ეე კავშირი, როგორც შინაურ, ისე საზღვარ გარეთულ ბურჟუაზიასთან, რომლის გავლენის ქვეშ იმყოფებოდენ კერენსკები, გოცები, წერეთლები და სხვები.

ლენინის მთავრობამ შეაჩერა უკვე სისხლის ღვრა ფრონტზე, რომელსაც მოყვება მოლაპარაკება თავის პირობების გამორკვევის შესახებ. გერმანიის და ავსტრიის მთავრობები თანახმა არიან მოლაპარაკების დაწყებაზე. მენშევიკები კი ეხლაც ატყუებენ ხალხს და გაიძახიან ლენინის დეკრეტები ჰაერში გამოკიდებულ ლოზუნგებათ გადაიქცეო.

მაშასადამე საბჭოების მთავრობამ მილიონჯერ მეტი სარგებლობა მოუტანა მშრომელ ხალხს თუთხმეტ დღეში, ვიდრე მენშევიკ-კერენსკების მთავრობამ რვა თვის განმავლობაში. ომის გათავების საკითხი დღიურ საკითხათ გადაიქცა. ამ ჟამათ იმარჯვებს მუშური ტაკტიკა. ტაკტიკა სასტიკი ომის წარმოებისა, არა გერმანიის პროლეტარიატის წინააღმდეგ, არამედ შინაური მტრის—ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ამას გარდა ტროცკის მიერ ხელშეკრულობის გამოქვეყნებიდან აშკარათ სჩანს, რომ ჩვენი ბურჟუაზია იმ თავიდან იყო ომის გაგრძელების მომხრე დარდანელის და კონსტანტინოპოლის ხელში ჩასაგდებათ. ამისთვის ალვრევინებდენ მდიდრები სისხლს ხალხს და კლავდენ მას შიმშილით.

მენშევიკები კი „ერთობის" საშუალებით უმტკიცებდენ ამიერ კავკასიის მუშებს და გლეხებს. რომ რუსეთის ბურჟუაზია რევოლიუციონური კლასი არის.

აქედან აშკარაა მენშევიკების მოღალატეობა, ვინაიდან ისინი მუშაობდენ ამ ხალხის მტერ ბურჟუაზიასთან ერთათ სამინისტროში კერენსკის მეთაურობით.

გაიღვიძეთ, კავკასიის მუშებო და გლეხებო და დაინახეთ თქვენი პირდაპირი და არა პირდაპირი მტრები!

თქვენ რამოდენიმე თვის განმავლობაში თავზე გახვევდენ ისეთ ტაკტიკას, რომელიც ხელს უწყობდა ბურჟუაზიას ომი აქამდის ეწარმოებია. თქვენ მუდამ გიმტკიცებდენ ბალშევიკური ტაკტიკის უვარგისობას.

თქვენ კი გეგონათ, რომ მენშევიკები მხოლოთ ტაკტიკით განსხვავდებიან ჩვენგან. სხვაფრივ კი ფიქრობდით, ვითომც მენშევიკებიც სოციალისტები იყვნენ.

მეორე რუსეთის რევოლიუციამ დაამტკიცა ის, რომ მენშევიკები წინააღმდეგი არიან იმ მუშების და გლეხების მთავრობის, რომელიც დღე და ღამე ზრუნავს ზავის საკითხზე, არა ფრაზებით, არამედ ნამდვილი რევოლიუციონური ზომებით. ასეთი მთავრობის წინააღმდეგ წასვლა ნიშნავს ომის გათავების წინააღმდეგ გალაშქრებას.

რატომ არ შეგეკითხენ თქვენ, მენშევიკური პარტიის წევრებო, ჟორდანიებო, გეგეჭკორებო და სხვებო, გსურს თქვენ გამოეთიშოთ რუსეთის რევოლიუციონურ მუშებს თუ არა?

იმიტომ არ შეგეკითხენ, რომ თქვენ უჯერებდით მათ, მიუხედავათ იმისა, მოღალატეობრივია მათი პოლიტიკა თუ არა. რუსეთის მუშებმა გამოუცხადეს ომი ბურჟუაზიას და თუ თქვენ არ გსურთ მოღალატეობრივი როლი ითამაშოთ ამ ომის წარმოების დროს, დაუჭირეთ მხარი რუსეთის პროლეტარიატს და დაგმეთ თავაღებული ბელადების ტაკტიკა.

თუ გინდათ დაინახოთ მენშევიკების სიყალბე, წაიკითხეთ „ერთობა". ის სწერს მე-200 ნომერში: „ლენინ-ტროცკიმ ახალი სასურსათო დეკრეტი გამოსცეს, რომელშიაც ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებს მოუწოდებენ, რომ მათ სოფლებთან პირდაპირი გაცვლა-გამოცვლა დაიწყონ და ქალაქების მცხოვრებლებმა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ქარხანა-ფაბრიკების მუშებმა ამ გზით მიიღონ სოფლელებიდან საჭირო სურსათიო". ასეთი საშუალება „ერთობას" ანარქისტულ საშუალებათ მიაჩნია. მენშევიკები იმდენათ დაშორდენ ცხოვრებას, რომ მათ თურმე არც ის გაეგებათ, რომ ამიერ კავკასიაშიც არის ისეთი

სასურსათო კომიტეტები, რომელნიც არ შესდგებიან ბალშევიკებისაგან, მაგრამ მიუხედავათ ამისა, სასურსათო კრიზისის მიერ გამოწვეულ სიმწვავის შესასუსტებლათ ღებულობენ სწორეთ ისეთ ზომებს, როგორიც აქვთ ლენინ-ტროცკის დეკრეტებში შემუშავებული, ე. ი. მიაწოდოს სოფელს ფართალი იმ პირობით, რომ მან სამაგიეროთ მიაწოდოს ქალაქს სოფლის ნაწარმოები. „ერთობას" ალბათ გონია, რომ დღევანდელი ეკონომიური ცხოვრების პირობები ისეთნაირია, როგორიც ეს იყო ძველათ. ის არ აქცევს ყურადღებას იმას, თუ რამდენათ დაკარგა ფულმა თავისი მნიშვნელობა და რომ გლეხი არ სცვლის პურს უმნიშვნელო ქაღალდის ფულზე. ის გასცვლის პურს საქონელზე, რომელიც მისთვის საჭიროა. ეს ძლიერ უკვირს „ერთობას", მხოლოთ არ უკვირს უპარტიო სასურსათო კომიტეტებს.

შემდეგ იმავე ნომერში „ერთობა" განაგრძობს:

„ვინ არ იცის, რომ ბალშევიკების მიერ შექმნილმა ავანტიურამ ამიერ კავკასიის რევოლიუციონური ორგანოები, რევოლიუციონური ცენტრები იძულებული გახადა დროებით მთავრობა შეედგინა და ამ მთავრობის მეოხებით ბალშევიკების მიერ გამოწვეული ეკონომიური, ფინანსიური და პოლიტიკური ანარქია გაენელებია და საერთო რევოლიუციონური ფრონტი არ დაერღვიათ".

აი რით ატყუებს მკითხველებს „ერთობა". ამიერ კავკასიაში შემდგარი მთავრობა, ხალხის დაუკითხავათ, რომელიც იძულებული იქნება აცხოს ქაღალდის ფულები, კიდევ უფრო გაამწვავებს სასურსათო კრიზისს. მართლაც რა შედეგი უნდა მოყვეს იმ ფულების გამოშვებას ჩვენში, რომელსაც არავითარი გავლენა არ ექნება არა თუ ამიერ კავკასიის საზღვრებს იქით, არამედ ჩვენშიაც. ვინ იწვევს ანარქიას ფინანსიურს და ეკონომიურს მენშევიკები თუ ბალშევიკები? ამ კითხვას უპასუხოს თვით მკითხველმა.

ნუ იმართლებთ თავს „ერთობის" იბორონცებო. ანარქია, რომელიც მოყვება შედეგათ თქვენ მიერ მთავრობის შედგენას თქვენვე დაგატყდება თავზე ახლო მომავალში. უკვე დადგა ის დრო, როცა დემოკრატია, რომლის ინტერესი თქვენ ვერ დაიცავით რვა თვის განმავლობაში, გარბის თქვენგან და გვიერთდება ჩვენ, მიუხედავათ იმისა, რომ თქვენ ანარხისტებათ და ბლანკისტებათ გვთვლავთ ჩვენ.

მშრომელი ხალხი ხედავს მენშევიკების უბრალო ფრაზებს და ამიტომ თქვენ არ მიიღეთ იმდენი ხმა დამფუძნებელ კრებაში არჩევნების დროს, რამდენსაც თქვენ მოელოდით. ვის შეაქცია ზურგი „შეგნებულმა დემოკრატიამ?" იმ პარტიას, რომელიც ზრუნავს ზავზე, თუ იმას, რომელიც ფრაზებით ისტუმრებდა ხალხს მთელი რვა თვის განმავლობაში. თქვენი ბატონობის დროს მოჭამა ქვეყანა და ეს გაბრაზებს თქვენ.

რუსეთის მუშები და გლეხები იმარჯვებენ ბრძოლაში ბურჟუაზიასთან და პოგრომშჩიკებთან. სწორეთ ამიტომ ჩამოშორდით თქვენ რუსეთს, რადგანაც ვერ მოგინელებიათ მოკავშირე „რევოლიუციონური" ბურჟუაზიის დამარცხება. ხალხს კი იმით ატყუებთ, ვითომც ბალშევიკების მიერ შექმნილმა მდგომარეობამ გამოიწვია აქური კოალიციონური მთავრობის შედგენა.

ბალშევიკებს არასოდეს არ მოსვლია აზრში მოღალატეობა,—ეს თქვენი წვრილი ბურჟუაზიული მისწრაფებაა.

ბურიატი.

## ინტელიგენცია და მუშათა რევოლიუცია.

ოქტომბრის რევოლიუცია თავისი აზრით და შინაარსით დიდათ მნიშვნელოვანი და საგულისხმო მოვლენაა არამთუ რუსეთის, არამედ მთელი კაცობრიობის ცხოვრებაშიაც. ეს არის რევოლიუცია მუშების და გლეხების კაპიტალის წინააღმდეგ. დღეს ცხადია, თუ რა დიდ როლს თამაშობს ამ რევოლიუციაში პარტია პროლეტარიატისა—ბალშევიკები. მუშებისა და გლეხების ორგანიზაცია უკვე ბატონობს, ფეხ-მომაგრებულია. მთავრობა ბურჟუაზიული კლასებისა დამხობილია. ამავე დროს სახელმწიფო მართველობის მაშინა თავისი ერთი ნაწილით შეჩერებულია, ხოლო მეორე ნაწილით კიდევ ვერ ჩამდგარა თავის კალაპოტში. ბურჟუაზიასა და მემამულეებთან ერთათ, ბარიკადების მეორე მხარეს დადგა ინტელიგენციის და ჩინოვნიკების მთელი კადრი, რომელიც თავის შეგნებით და მდგომარეობით ამ ორ კლასს, პროლეტარიატს და კაპიტალისტების, შუა სდგას, წარმოებაში თავისი საკუთარი ნიადაგი არ აქვს და თავისი ხაზეინების, კაპიტალის უბრალო სურვილის ამსრულებელია. ბარიკადის მეორე მხარეს დადგნენ აგრეთვე შეთანხმების ყველა პარტიები, რომელნიც მათმა უდღეურმა პოლიტიკამ, ისინი უბრალო პოლიტიკურ საქმის კაცუნებათ გადააქცია. იმათ სახელათ წვრილ ბურჟუაზიული პარტიები ჰქვიანთ, მაგრამ სოფლისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზია საქმეზედ მათ ჩამოეცალა და მუშათა მოძრაობას ამოუდგა გვერდში. ამ წვრილ ბურჟუაზიულ პარტიებს შერჩათ ხელში მხოლოთ სოფლისა და ქალაქის „კულაკები" და ისიც ერთი მუჭა ხალხია. ეს არის ერთათ ერთი ბურჯი ამ პარტიების, რომელნიც წარმოებაში რაიმე მონაწილეობას ღებენ. აი ის საფუძველი, რომელზედაც დაყრდნობილია. წვრილ ბურჟუაზიული პარტიების ყველა გამოსვლები, რომელნიც ამავე დროს გამომხატველნი არიან მთელი ინტელიგენცია-ჩინოვნიკების და „კულაკების" სულიერ მდგომარეობისა. უკანასკნელ პარტიების მიერ მოძრაობის სათავეში მოქცევა იყო დროებითი ხასიათის და მხოლოთ თავის მასის სულის კვეთებას გამოხატავდა. რისთვის იფიცებიან ინტელიგენცია და ჩინოვნიკობა? რათ ესროდნენ ტყვიებს მუშებს იუნკრების პულემიოტებიდან მენშევიკების და ესერების შვილები გოცი, აქსენტიევი, რუდნევი და კომპანია? რატომ ისინი მუშების მხარეს არ გადავიდნენ და რათ მოხთა, რომ ისინი მარტო მოღალატეები კი არა, პირდაპირ მტრები გახდნენ მუშებისა?

ისინი ბურჟუაზია-მესაკუთრეთა და პროლეტარიატის შუა მდგომი ხალხი იყვნენ, რომელთაც ვერ გასწყვიტეს კავშირი ბურჟუაზიასთან და ვერც მუშებს მიუდგნენ. მათ იკისრეს ამ ორ ერთმანეთში მებრძოლ კლასების მორიგება, შეთანხმება და ამიტომ მათ სახელათ შეთანხმების პარტიებს უწოდებდნენ. მაგრამ ეს მართალი არ არის. ისინი შუამავლები, მომრიგებელნი კი არ იყვნენ, არამედ აგენტები კაპიტალის, მტრები მუშებისა და გლეხების. მუშებისა და გლეხების რევოლიუციამ დაამტკიცა, რომ ეს ინტელიგენცია შესდგებოდა მენშევიკებისა, ესერებისა და პლეხანოველების პარტიულ რეზერვებიდან და იყვნენ აგენტები იმპერიალიზმისა. საქმეზედ დამტკიცდა საით იყო მათი სიმპატია. მაშინ რაზედ ეყრდნობა ამ ინტელიგენციის, წვრილ ბურჟუაზიის ორგანიზაცია თავის პოლიტიკურ როლსა და გამოსვლებაში?

საქმე იმაშია, რომ ინტელიგენცია, როგორ სპეციალური ცოდნის მატარებელი, როგორც განსაკუთრებული მდგომარეობის პატრონი, მჭიდროთ დაკავშირებული ფინანსიურ კაპიტალთან, რომელსაც ხელში ჩაუგდია ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულები, მეცნიერება, ტეხნიკა და ხელოვნება. 1905 წლამდე ჩვენი ინტელიგენცია მეტათ რევოლიუციონური იყო. თითქმის მთელი ინტელიგენცია: ყველა გამოჩენილი ვექილი, გამოჩენილი მწერლები, ინჟინრები არალეგალურ პარტიებში იყვნენ და ბალშევიკებთან ერთათ იზიარებდნენ იმ დროის პოლიტიკურ სიდუხჭირეს. ის დრო იყო, როცა წარმოებაში ბანკებს ჯერ კიდევ ისეთი გადამჭრელი მნიშვნელობა არ მოეპოვებინათ. მრეწველობაში კაპიტალისტები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლები იყვნენ და ბანკებს კიდევ იმათვის ერთათ თავი არ მოეყარათ.

იმ დროს ადვოკატებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შეძენილი სხვა და სხვა აქციები, რომელნიც ყველა ფულიან კაცებს ყოველგვარ იმპერიალისტურ მოქმედებაში მონაწილეთ ხდიან. მთელი ეს კადრი ინჟინრებისა, ვექილებისა, ექიმებისა არ იყვნენ კიდევ წევრები ყოვლად შემძლე ბანკოს—შაიკისა და ხალხის სამსახურს თავის მოვალეობათ სთვლიდნენ, ამის გარდა თვითმპყრობელობის ნგრევის პროცესი ჯერ არ დაწყებულიყო ბურჟუაზია, რომელიც მას ებრძოდა, თავის ღვიძლ შვილების, ინტელიგენციის რევოლიუციონერობას მაინცა და მაინც არ ეწინააღმდეგებოდა. დეე, ამ ინტელიგენციამ მოამზადოს მუშები, ამხედროს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მუშები შეებრძოლებიან მეფეს, ჩამოაგდებენ იმას ტახტიდან, მერე მათ შუაში ჩაერევა ბურჟუაზია, აიღებს ხელში ძალა-უფლებას და მუშებსა და გლეხებსაც დაუთმობს ცოტა რამეს, შეიტანს რეფორმებს. აი რას ფიქრობდა ბურჟუაზია.

ნ. ოსინსკი.

(შემდეგი იქნება)

## მოკალათებულ ბატონ პრავაკატორებს მემარჯვენე სოციალისტურ პარტიებში.

(თარგმანი).

იმ ამხანაგებმა რომლებიც მენშევიკურ და სოციალისტ-რევოლიუციონურ გაზეთებს კითხულობენ, იციან, რომ ჩვენი მტრები მენშევიკები და ესერები გამოდიან ბალშევიკების წინააღმდეგ წმიდა პრაქტიკული მოთხოვნილებებით და აგიტაციით. ისინი თავის გაზეთებში ყოველ დღე სწერენ: „ჩვენ მოვითხოვთ ბალშევიკებისაგან ბეჭდვის თავისუფლებას და პიროვნების ხელ შეუხლებლობას, დამფუძნებელი კრების მოწვევას და ზავს, თქვენ, ბალშევიკებო ხელში ჩაიგდეთ ძალა-უფლება და ახლა გვაჭამეთ პური, შეასრულეთ თქვენი დანაპირები".

ამ დროს ამ ვაჟბატონებს არა სწამთ ახალი მთავრობა და ყველა მის წარმომადგენლებს უპირდაპირათ ეუბნებიან: ვინ მოგცათ თქვენ უფლება ქვეყანას განაგებდეთო? ამავე დროს მენშევიკ ესერები (მოსკოვში) ჰკრებენ ძველ ქალაქის მკვდარ დუმას, რომელმაც შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა რევოლიუციას, და მას ცოცხლად ასაღებენ; თვის გაზეთ „ტრუდ"-ში სახალხოთ გაჰკივიან ესერები, რომ „აგრესიული ბრძოლა სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტის წინააღმდეგ ჯერაც არ დამთავრებულა" ო.

ოქტომბრის რევოლიუციის წინადღეებში, როცა მოსკოვის მუშები გამოსვლისათვის ემზადებოდნენ—ფლიდი მენშევიკები, როგორც მაგ. კიბრიკი, ასე მოუწოდებენ მუშებს: მუშებო, ჩვენ გაფრთხილებთ თქვენ ასეთი საშინელი ნაბიჯისაგან; ჩვენ მოგიწოდებთ — ნუ მიიღებთ უკანასკნელ ბრძოლას; მაგრამ თუ კი თქვენ მაინც გამოხვალთ, ჩვენც თქვენთანა ვართ; ჩვენ დავეხმარებით პროლეტარიატს; ჩვენც მასთან დავიხოცებით.

არავის, ვისაც კი სინდისი და პატიოსნება შერჩენია, არ შეუძლია უარ ჰყოს ის ფაქტი, რომ ოქტომბრის რევოლიუციაში მთელი მოსკოვის პროლეტარიატი იღებდა მონაწილეობას. ეს „ბალშევიკური" რევოლიუცია არ ყოფილა. ეს იყო მუშათა და ჯარისკაცთა რევოლიუცია. ბალშევიკებს მხოლოდ ხელმძღვანელობა არგუნა მუშებმა და ჯარისკაცებმა.

ეხლა კი, როცა აჯანყებამ გაიმარჯვა, ყველა ისინი, ვინც პილატესავით ხელს იბანს, ვინც განზე გამდგარა და საზიზღარ კონტრ-რევოლიუციონურ აგიტაციას ეწევა და ამით ხელს უშლის რევოლიუციის გამარჯვებას, წინ ეღობება მას—ის საზიზღარი მატყუარა, ფლიდი, მოღალატე ყოფილა, როცა პროლეტარიატს დახმარებას პირდებოდა.

აი რა შეგვიძლია ვსთქვათ ჩვენ ბ. მენშევიკებზე.

მენშევიკებზე და ესერებზე კი ერთათ აი რას ვიტყვით ჩვენ: თქვენ თხოულობთ ბალშევიკებისაგან პურსა და ზავს? გაფრთხილდით, გამცემლებო! ჩვენ ვეტყვით მასას: ჩვენ მოგცემთ პურსა და ზავს მაშინ, როცა სავსებით ხელში ჩავიგდებთ ძალა-უფლებას, როცა ძირშივე ჩავკლავთ მენშევიკების და ესერების საბოტაჟს (ხელის შეშლას) ახალი მთავრობისადმი.

განა თქვენ არ იძახით, რომ ბალშევიკებმა ძალა-უფლება ხელში აიღეს და ზავს არ გვაძლევენო და ამავე დროს კი უარყოფთ ახალ მთავრობას და მასთან შეიარაღებულ ბრძოლას აწარმოებთ? და აი ჩვენ ვეტყვით: პურს, ზავსა და თავისუფლებას მოგცემთ მაშინ, როცა ძირში ჩავკლავთ, გავანადგურებთ იმ „ანარქიას", რომელსაც თქვენ მენშევიკ ესერებო, მატყუარა სოციალისტებო, ქმნით.

ჩვენ მაშინ მოგცემთ ზავს, როცა ჩვენი დეკრეტი ზავის შესახებ მებრძოლ სახელმწიფოებისათვის გადაიქცევა უკვე აღიარებულ, და გამაგრებულ მთავრობის დეკრეტათ.

მაგრამ ჯერ ეს არ არის და არ არის იმიტომ, რომ მენშევიკების და ესერების მიერ შექმნილი კონტრ-რევოლიუციონური კომიტეტები მოკავშირე იმპერიალისტებს ყურში უჩურჩულებენ, რომ მათ (მოკავშირე იმპერიალისტებმა) სახალხო კომისართა მთავრობა—არ სცნონ რუსეთის მთავრობათ. როცა კი განადგურებულ იქნება კონტრ-რევოლიუციის თავდაცვის კომიტეტები—მაშინ ჩვენ ზავს მივცემთ ხალხს.

ჩვენ ყველა მოთხოვნილებებს დავა-

კმაყოფილებთ, მოვიწვევთ დამფუძნებელ კრებას, თუ ბ.ბ. მენშევიკ-ესერები თავს დაანებებენ იმ საბოტაჟს, რომელსაც ეხლა ეწევიან, თუ ისინი ხალხს არ დაშინებენ და იუნკრებს არ გამოიყვანენ არჩევნების დროს მუშებისა და ჯარისკაცთა დასახვრეტათ.

რაც შეეხება ბეჭდვის თავისუფლებას ჩვენ მას ყველას მივცემთ, მხოლოდ პირველ ყოვლისა ეზრუნველ ვყოფთ ბეჭდვის თავისუფლების მუშათა კლასისათვის. ბ. ბ. მენშევიკებო, თქვენ ყველას გისწავლიათ მარქსიზმი და იცით თუ რას ნიშნავს მუშისათვის ეკონომიური „თავისუფლება"—უნდა წაიკითხო „მონობა" სწორედ ასე: ქაღალდზე სწერია თავისუფლება ბეჭდვისა, უნდა წაიკითხო: „თავისუფლება ბურჟუაზიისათვის, რომელიც სარგებლობს ვეებერთელა სტამბებით, აუარებელი კაპიტალით, ქაღალდით, რომ ცილის წამებით ატყუონ მუშები" და აი წერის და ბეჭდვის თავისუფლებას ჩვენ მივცემთ ყველას, მხოლოდ ჯერ კიდევ დამთავრდეს ბრძოლა პროლეტარიატს და ბურჟუას შორის. მაგრამ თავისუფლების მუშათა სიტყვის და ბეჭდვის ჩასახრჩობათ ჩვენ არ მივცემთ არავის. თქვენ კი შეგიძლიათ დაიცვათ და სისხლიც დაღვაროთ მუშათა მტრებისთვის ბეჭდვის თავისუფლების მისაცემათ.

პირობების ხელშეუხლებლობას რაც შეეხება ჩვენ მოკლეთ და მკაფიოთ გეტყვით: კალედინს. კორნილოვს, როდზიანკოს და სხვა კონტრ-რევოლიუციონერებს ჩვენ ვერ მივცემთ პიროვნების ხელშეუხლებლობას.

ჩვენ საქმის ხალხი ვართ, ჩვენ არ ვართ რევოლიუციის მოღალატე-გამცემლები.

თქვენ კი, თქვენ, რომლებმაც იუნკრებს მუშები დაახოცინეთ ბავშვები და ქალები ამოაჟლეტინეთ, თქვენ ჯერ არავინ შეგხებიათ და არხეინათაც დასეირნობთ.

ამიტომ ცოტა გაანელეთ პროვაკაციული გამოსვლები, გახოვდეთ, რომ თქვენ ცილს სწამებთ არა ბალშევიკებს, არამედ მუშებს და ჯარისკაცებს, რომლითაც გაიმარჯვებს მტრებზე. ისინი თქვენ აღარ დაგიჯერებენ და გეშინოდეთ, რომ მოიმკოთ ის რაც დასთესეთ.

კოტე.

## რუსეთის ქრონიკა.

მოლაპარაკება ზავის შესახებ.

სახალხო კომისარების საბჭომ მიიღო რადიოტელეგრამა ავსტრიის საგარეო საქმის მინისტრისაგან, რომელშიაც ავსტრო-უნგრეთის მთავრობა აცხადებს სურვილს დაიწყოს მოლაპარაკება ზავის შესახებ რუსეთის რევოლიუციის სამშვიდობო პროგრამის საფუძველზე, უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარებით.

ტროცკი და ელჩები.

ტროცკიმ გასცა განკარგულება, რომ სამსახურიდან დათხოვნილ იქნენ ყველა ის ელჩები, რომელნიც არ ცნობენ სახალხო კომისარების მთავრობას.

გენ. კორნილოვის გაქცევა.

21 ნოემბერს ღამით გენერალი კორნილოვი ყარაული თექინებითურთ ბიხოვიდან გაიქცა. ცნობებია, რომ კორნილოვი შაბლოვსკის ორდერით იქმნა გამოშვებული.

შრომის კომისარმა მიმართა მუშებს წინადადებით, რომ დაუყონებლივ აარჩიონ დელეგატები მუშათა საკანტროლო საბჭოებში.

19 ნოემბერს 11 საათზე მოვიდა ქ დვინსკში ზავზე მოსალაპარაკებლათ დელეგაცია. დელეგაციის წევრები მე-5 არმიის სიეზდზე მიიწვიეს. კამენევის სოკოლნიკოვის და სხვების სიტყვებს ალტაცებით ეგებებოდენ.

კიდევ აღმოაჩინეს 100 ათასი ფ. პური.

10 ნოემბერს ერთმა კომისართაგანმა, რომელთაც ევალებათ ბრძოლა სპეკულიაციასთან და მაროდიორებთან (ჩარჩ ავაზაკებთან), აღმოაჩინა ნევკაზე 4 ბარჟი (დიდი ნავი), 100 ათასი პურით დატვირთული. ეს ბარაჟები დამალული იყო რამდენიმე ათეულ ბარჟებში, რომლებიც შეშით იყვენ დატვირთული. ბარჟები კერძო პირებს ეკუთვნის. გამოგზავნილია რიბინსკიდან და იაროსლავლიდან. იქვე იპოვეს 6 ათასი ფ. ნავთი.

მხედარი ტყვეები და რევოლიუცია

სამხ.—რევ. კომიტეტში მოვიდენ დელეგატი ხუთი ნაციის წარმომადგენელნი (ჩეხები, სლოვაკები, პოლიაკები, ნემცები და ვენგრები) და გადასცეს (კომიტეტს) 412 მ. 78 კ. შეგროვილი რევოლიუციის მსხვერპლთა სასარგებლოთ.

დაგროვილი პური.

არმავირ-ტუაპსეს რკინის გზაზე დაგროვდა 6 მილიონი პური. საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოითხოვენ 145 ვაგონს დღეში, წინააღმდეგ შემთხვევაში პური დალპებაო.

ციმბირი.

(აკმოლინის ოლქი) იტყობინებიან, რომ იქ აუარებელი პურია დაგროვილიო.

ყველა რკინის გზებზე,

როგორც რკინის გზის უფროსები იტყობინებიან, დაგროვილა 4358 ვაგონი პური.

მოსკოვი — რევოლიუციონერთა დაკრძალვა.

14 ნოემბერს დაკრძალეს სტუდენტები, იუნკრები და აფიცრები, რომლებიც დაეცენ ოქტომბრის ბრძოლაში. დაკრძალვა მოხდა ძმათა სასაფლაოზე. მიწას მიაბარეს 50 კაცი, მათ შორის 5 ყმაწვილი.

## მუშათა წერილები

ვისთან გვაქვს საქმე.?

ოცი წლის წინედ გამოდიოდა მესამე დასელების ორგანო ჟურნალი „კვალი."

მეორე მხრით გამოდიოდა ქართველი ნაციონალისტების გაზეთი „ივერია." მქონდა ბედნიერება ამ სტრიქონების დამწერს ორივე მეკითხა. თუმცა იმ დროს პოლიტიკა,-ეკონომიის ბევრი არაფერი გამეგებოდა და თავს არც ეხლა ვიწუხებ მაგრამ იმ დროინდელ პოლემიკას, დასელებსა და ივერიელებს შორის ცოტათ თუ ბევრად კი ვარჩევდი, და ის შთაბეჭდილებები დღემდისაც აღბეჭდილია ჩემს ხსოვნაში.

პირველის ე. ი. „კვალის" გარეშემო თავს იყრიდა მშრომელი ხალხის ჭეშმარიტი ინტერესების გამომხატველნი ჟორდანია, მახარაძე, ჯიბლაძე და სხ.

„ივერიის" სულის ჩამდგმელი, თუ არ ვცდები, იყო ილია ჭავჭავაძე და მასთან ერთად ბედით კმაყოფილნი თბილ—თბილ ადგილებში მოკალათებული მცონარე ინტელიგენცია ქართველი ნაციონალისტებისა.

ამ უკანასკნელებს დასელების წარმოშობა სიცილათაც არ ყოფნიდათ და იმ ეპიტეტებით უმასპინძლდებოდენ დასელებს, როგორათაც დღეს, იგივე დასელები-მენშევიკები მათ ძველ, სიყმიდან ამხანაგებს ბოლშევიკებს უმასპინძლდებიან.

ივერია ძველად და მისი სულის ჩამდგმელები, „ერთობა" დღეს და მისი ამყოლ-დამყოლნი, ესენი ხომ ერთადა იგივეა, არც მეტი არც ნაკლები. „კვალის" პოზიციას ადგია „ბრძოლა."

ივერიელები იმ დროს დასელებს „ვიგინდარებს," „უსაქმურებო, უტოპისტებს უწოდებდენ. „ერთობამ" კი ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა. იმ პირებს, რომლებმაც დღემდე არ უღალატეს მუშათა კლასს, სოციალიზმს და მედგრად იბრძვიან, საერთა შორისო პროლეტარიატის მომავალ ბედნიერებისათვის ტალახში სვრიან, ათას გვარ ჭორებს ავრცელებენ ჩვენი შეუდრეკელი, ბელადების წინააღმდეგ.

რა მოხდა, ძველო მებრძოლნო! რა ჩავიდინეთ ისითი, რასაც თქვენ მაშინ არ გვასწავლიდით? განა ჩვენთვის მარტო ნიკოლოზის მთავრობის დამხობა კმაროდა?

ნიკოლოზის მთავრობა ჩვენ წინ გველობებოდა, ხელ ფეხს გვიბორკავდა, ციხეში და კატორღაში გვაგზავნიდა, როცა ჩვენ კაპიტალისტების წინააღმდეგ გავილაშქრებდით, მჩაგვრელებს და მყვლეფავებს რაიმე ეკონომიურ მოთხოვნილებას წარუდგენდით.

პირველი მტერი. მოვიცილეთ და ნურას უკაცრავად, თუ ეხლა მეორე მტერი თავზე არ წამოვისკუპეთ!

რატომ გალიბერალდით, რათ დაფრთხით, რამ ჩაკლა თქვენში ბრძოლის უნარი? ჩვენი ხვედრი ციხე, ციმბირი სახრჩობელა იყო, მაგრამ მაინც ავაფრიალებდით ხოლმე წითელ დროშას, რომელსაც ამშვენებდა ზედ წარწერა:!

ძირს თვითმპყრობელობა!

ძირს კაპიტალიზმი!

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატს— სოციალიზმს

ეს იყო 1905 წლამდე, ამასვე ვიმეორებდით შავ რეაქციის დროსაც ოცდა შვიდ თებერვლამდე ამა წლისა.

ეხლა გეკითხებით, ჩვენო მასწავლებლებო, ძველო მებრძოლნო: დაგძლიათ სიბერემ? მყუდრო ცხოვრებას გინდათ მიჰყოთ ხელი? „ზომიერი" გონიერება", „გონიერი ზომიერება"! ეს არის თქვენი დევიზი? თქვენ არ იყავით ამ ათი წლის წინათ ზომიერ გონიეროპის პარტიას მთელი თქვენი არსებით რო ებრძოდით?

ჩვენ თქვენგან ვისწავლეთ: პროლეტარიატს სამშობლო არა აქვსო: სოციალისტურ რევოლიუციის მოხდენის დროს მუშა პროლეტარი არაფერს არ კარგავს გარდა ბორკილებისაო. ეს ჭეშმარიტება ჩვენ დღესაც გვწამს. ჩვენ დღეს სოციალისტურ რევოლიუციას არ ვახდენთ, ნუ დაფთხებით! ჩვენ მხოლოდ ნიკოლოზის მთავრობის ნანგრევებზე არ გვინდა გავაბატონოთ ჩვენი ისტორიული მტრები: კაპიტალისტური ბურჟუაზია. გვინდა ბოლო მოვღოთ მილიტარისტების მიერ შექმნილ ომს, ისეთ ომს, რომლითაც ძლიერნი ამა ქვეყნისა ხელსითბობენ, ჯიბეებს ისქელებენ, სხვის უბედურებაზე თავის ბედნიერებას აშენებენ.

ვიმეორებთ: ჩვენ თქვენგან რაც ვისწავლეთ, იმ გზით მივდივართ იმათთან ერთად, ვინც თქვენსავით არ გალაჩრებულა, ვისშიაც ბრძოლის ცეცხლი არ ჩამქრალა;— ესენი არიან ბოლშევიკები, და ჩვენც, ძველი მუშები მათთან ერთად დავიხოცებით, თქვენებრ არ გავლაჩრდებით.

ფ. თ—ია


პირველი ნოემბრიდან გაზეთი

# ბრძოლა

გამოდის ყოველდღიურათ.

გაზეთის ფასი: წლის დამლევამდე ღირს 4 მ.
ერთი თვით „ 2 მ.
ცალკე ნომერი „ — 10 კ.
მეგაზეთეებს მიეცემათ ცალი 07 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება: 1) „ბრძოლის" და „კავკ. რაბოჩის" კანტორაში, თფილისი, გიორგის ქუჩა № 1.

2) ჩვენი პარტიის თფილისის ოთხივე რაიონის ბიუროში.

3) ჩვენი პარტიის პროვინციის ყველა ორგანიზაციებში.

თფილისის ამხ. მუშებს და გაზეთის გამავრცელებლებს ვთხოვთ გაზეთი მოიკითხონ და გასავრცელებლათ წაიღონ სტამბიდან ყოველ საღამოობით, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. სტამბა—ამხანაგობა „ქართლი" ძველი სემენარიის ეზოში. შესავალი ლორის მელიქოვის ქუჩიდან. რედაქციის ადრესი: თფილისი. განოვის ქ. № 3.

ამხანაგებო! ხელი შეუწყვეთ ყოველმხრივ „ბრძოლას": მუშათა ორგანო მხოლოთ მუშებისავე ძალღონით და საშუალებით შეიძლება არსებობდეს.


ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „ქართლი", ლორის-მელიქოვის ქუჩა.

ერთიანი ელექტრონული ბიბლიოთეკა